საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

unicef
unite for children

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს შორის,

„საქართველოში უკიდურესად დაუცველი, განსაკუთრებით კი ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დახმარების" ინიციატივის ფარგლებში

ზოგადი ინფორმაცია

ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმა, რომელიც 2005 წელს დაიწყო, წარმატებით მიმდინარეობს: დიდი ზომის სამზრუნველო დაწესებულებებში განთავსებული ბავშვების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა; ოჯახის დახმარების და ოჯახის ჩამნაცვლებელი ალტერნატიული მომსახურებები, მინდობით აღზრდის და მცირე საოჯახო ტიპის სახლების ჩათვლით, განვითარდა და ფართოვდება;

მთავრობა და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები აღიარებენ, რომ ხარვეზები, რომლებიც გამოვლინდა რეფორმის პროცესში უკავშირდება ყველაზე დაუცველ ბავშვებს, მათ შორის იმ ბავშვებსაც, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და/ან მუშაობენ. „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმა" (საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის №762 დადგენილება) ნათლად ასახავს ამ მიმართებით გასატარებელ ღონისძიებებს, როგორიცაა ახალი მიდგომების და მომსახურებების დანერგვა-განვითარება - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დასახმარებლად, და ოჯახების მხარდაჭერა ბავშვების

რეინტეგრაციის მიზნით; ასევე ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები.

,,საქართველოში უკიდურესად დაუცველი, განსაკუთრებით კი ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების დახმარების" ინიციატივის (შემდგომში - ,,ინიციატივა") მიზანია სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, მდგრადი და თემზე დაფუძნებული მექანიზმების ჩამოყალიბება უკიდურესად დაუცველი ბავშვების, განსაკუთრებით კი ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვების, განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისთვის. ეს ურთიერთგაგების მემორანდუმი განსაზღვრავს ორი ძირითადი განმახორციელებელი პარტნიორის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდის ვალდებულებებს.

მემორანდუმის საგანი

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო (ზურაბ ჭიაბერაშვილის სახით), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი (რულანდ მონაშის სახით), შემდგომში მოხსენიებული როგორც - ,,მხარეები";

ვხელმძღვანელობთ რა, მხარეების თანასწორობის დაცვის პრინციპით და ვითვალისწინებთ რა, ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმის მნიშვნელობას,

გამოვხატავთ რა ჩვენს ვალდებულებას, შეიქმნას სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, მდგრადი, თემზე დაფუძნებული მექანიზმი უკიდურესად დაუცველი, განსაკუთრებით კი ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების ჰარმონიული განვითარებისა და სოციალური ინტეგრაციისთვის.

ვაცნობიერებთ რა, ჩართული მხარეების (სახელმწიფო, არასახელმწიფო) კოორდინირებული ქმედების და მონაწილე პირების საექსპერტო გამოცდილების გაზიარების საჭიროებას, ვთანხმდებით მასზედ, რომ მხარეთა ფუნქციები და ვალდებულებებს ინიციატივის ფარგლებში განისაზღვროს შემდეგნაირად:

მუხლი 1

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო იღებს ვალდებულებებს:

თანათავმჯდომარეობა გაუწიოს ,,ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმის" განხორციელების საკოორდინაციო საბჭოს მუშაობას ,,ინიციატივასთან" დაკავშირებული საკითხების ფარგლებში, რომელიც ამავე დროს უკიდურესად დაუცველი, განსაკუთრებით კი ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა;

- უზრუნველყოს უკიდურესად დაუცველი, განსაკუთრებით კი ქუჩაში მცხოვრებ და/ან მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაცია და ზედამხედველობა;
- კოორდინაცია გაუწიოს საკოორდინაციო საბჭოში შემავალ უწყებებს, რათა უზრუნველყონ მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება; შეასრულოს საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს ფუნქცია და ზედამხედველობა გაუწიოს მიმდინარე სამუშაოს შესრულებას;
- უხელმძღვანელოს სახელმწიფო კონცეფციის შემუშავებას უკიდურესად დაუცველი ბავშვების მიმართ;
- უზრუნველყოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში არსებული ქონების მოძიება ქ. თბილისში (სულ მცირე ორი შენობის), და დასავლეთ საქართველოს შერჩეულ ქალაქში (სულ მცირე ერთი შენობის), სადაც შესაძლებელი იქნება ამ ,,ინიციატივასთან" დაკავშირებული მომსახურებების განხორციელება;
- შეიმუშაოს მდგრადი დაფინანსების მექანიზმი და უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფის მიზნით, რათა ,,ინიციატივაში" ჩართულმა მომსახურების მიმწოდებელმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ მომსახურების მიწოდება;
- მოხდეს მომსახურებების მიწოდების გადაცემა/კონტრაქტირება (აუთსორსინგი), რაც გამოიხატება მიმდინარე ხარჯების ანაზღაურებაში წინასწარ

შეთანხმებული ოდენობით, იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ,,ინიციატივის" პირველი დღიდან არიან პროცესში ჩართულები;

- შეიმუშაოს და შესაბამისი წესით დაამტკიცოს მომსახურების სტანდარტები მომსახურების მიმწოდებლებისთვის და უზრუნველყოს შესრულების მონიტორინგი;
- უზრუნველყოს ,,ინიციატივის" ფარგლებში მომსახურებების მონიტორინგი;
- გამოაცხადოს მორატორიუმი სსიპ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს (ტერიტორიული ორგანო) - ფილიალში თბილისის ბავშვთა კრიზისულ ცენტრში ბენეფიციარის მოთავსებაზე 24-საათიანი კრიზისული ცენტრების ამოქმედებისთანავე;
- განავითაროს და აწარმოოს ქუჩაში ცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების მონაცემთა ბაზა; უზრუნველყოს აღნიშნული მონაცემთა ბაზის ინტეგრირება სამინისტროს სოციალური ინფორმაციის მართვის სისტემაში.• უზრუნველყოს ,,ინიციატივის" ადმინისტრაციული/მაკოორდინირებელი ჯგუფის 3 წევრის ანაზღაურების 50% ,,ინიციატივის" მეორე წლის განმავლობაში;
- დაიქირაოს მობილური ჯგუფების წევრად სოციალური მუშაკები (უფროსი სოციალური მუშაკის სახით), (,,ინიციატივის" პირველ წელს 3 სოციალური მუშაკი თბილისში, ხოლო ,,ინიციატივის" მეორე წელს დამატებით 1 სოციალური მუშაკი დასავლეთ საქართველოში) და უხელმძღვანელოს მობილური ჯგუფების მუშაობას;
- უზრუნველყოს სოციალური მუშაკების მიერ ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე ბავშვების შეფასება და მიზნობრივად მათი განთავსება შესაბამის მომსახურებებში;
- უზრუნველყოს მობილური ჯგუფების საქმიანობის ჰარმონიული თანხვედრა სახელმწიფო სოციალური მუშაობის საერთო ფუნქციონირებასთან;

ბ) გაეროს ბავშვთა ფონდი იღებს ვალდებულებებს:

- თანათავმჯდომარეობა გაუწიოს ,,ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012-2015 წლების სამოქმედო გეგმის" განხორციელების საკოორდინაციო საბჭოს მუშაობას ,,ინიციატივასთან" დაკავშირებული საკითხების ფარგლებში;

- უზრუნველყოს ტექნიკური მხარდაჭერა, ,,ინიციატივის" მაქსიმალური შედეგის მისაღწევად;
- დაიქირაოს ,,ინიციატივის" ადმინისტრაციული/მაკოორდინირებელი ჯგუფის 3 წევრი, რომლებიც იმუშავებენ დაქვემდებარების ქვეშ; უზრუნველყოს მათი ხელფასი 100%-ის ოდენობით ინიციატივის პირველ წელს და 50%-ის ოდენობით - მეორე წელს;
- უზრუნველყოს ურთიერთშეთანხმებული პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერა მომსახურების განხორციელების ადგილებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისათვის;
- ურთიერთშეთანხმებულ პარტნიორთა საშუალებით დაიქირაოს თითოეული მობილური ჯგუფის 2 წევრი (3 ჯგუფი თბილისში და 1 - დასავლეთ საქართველოში შერჩეულ ადგილას); და შეისყიდოს სატრანსპორტო საშუალებები მობილური ჯგუფებისთვის (3 თბილისში და 1 - დასავლეთ საქართველოში).
- უზრუნველყოს ურთიერთშეთანხმებულ პარტნიორთა ფინანსური დახმარება ,,ინიციატივის" ფარგლებში განხორციელებული იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც პროფესიონალების უნარების/შესაძლებლობების განვითარებას ემსახურება;
- კოორდინაცია გაუწიოს საქმიანობებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ,,ინიციატივაში" ჩართულ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა შესაბამის მხარეებს შორის;
- უზრუნველყოს შეთანხმებული ღონისძიებების ზედამხედველობა და მონიტორინგი.

მუხლი 2

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის მიერ განსაზღვრული მხარეების როლები და ვალდებულებები დამოკიდებულია ევროკავშირის მიერ ინიციატივის ორ წლიან ფინანსურ მხარდაჭერაზე, რომელიც შეადგენს 750,000 ევროს.

მუხლი 3

მხარეებს შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივი შეთანხმებით, შექმნან სამუშაო ჯგუფები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები ან სხვა, მესამე მხარის წარმომადგენლები.

მუხლი 4

მხარეთა შეთანხმებით, აღნიშნულ ურთიერთგაგების მემორანდუმში შეიძლება შეტანილი იქნეს ცვლილებები. ცვლილება წარმოადგენს წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 5

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შევა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ ინიციატივის დაფინანსების უზრუნველყოფის შემდეგ და ძალაშია 2 წლის ვადით.

თითოეულ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს განაცხადოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ და მოქმედება შეუწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმს. გადაწყვეტილება ძალაში შევა შეტყობინების მიღების დღიდან.

მუხლი 6

მემორანდუმი შესრულებულია 2 პირად, ქართულ და ინგლისურ ენებზე. თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ქართულ და ინგლისურ ენაზე არსებულ ტექსტებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ტექსტს.

ხელმომწერები:

სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მის: წერეთლის გამზირი №144, 0119, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 2 510 047; 2 510 048; 2 510 049

ზურაბ ჭიაბერაშვილი

25/07/2012

გაეროს ბავშვთა ფონდი

გაეროს ბავშვთა ფონდის თბილისის ოფისი

მის.: ერისთავის № 9, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: (+995 32) 2 23 23 88

25/7/12

რულანდ მონაში